ხელშეკრულება №20

ქ. ზუგდიდი "01 "ივნისი" 2016წ.

შ.პ.ს„ენგურ-აუდიტი" მისი დირექტორის ზურაბ ბერულავას სახით შემდგომში „შემსრულებელი" ერთის მხრივ და მეორეს მხრივ სსიპ ქალაქ ზუგდიდის №5 საჯარო სკოლა მისი დირექტორი დოდო ცქვიტაიას სახით მოხსენიებული როგორც „დამკვეთი" ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

01. ხელშეკრულების საგანი და შესრულების ვადები.

1.1 **"დამკვეთი" ავალებს ,ხოლო შემსრულებელი კისრულობს ჩაატაროს შემდეგი სახის აუდიტორული მომსახურება** სკოლის ბალანსზე რიცხული არასაცხოვრებელი ფართის საიჯარო ქირის დადგენა.

1.2 მომსახურების გაწევის ვადაა 2016წლის 01 ივნისიდან 2016 წლის 01 ივლისამდე

CPV კოდი – 79200000

02. მხარეთა მოვალეობები და უფლებები

2.1 მხარეთა უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება საქართველოს კანონით „აუდიტორული საქმიანობის შესახებ" აუდიტორის ეთიკის" კოდექსის მიხედვით.

2.2 პასუხისმგებლობა აუდუიტორისათვის წარდგენილი მასალების სისწორეზე ეკისრება „დამკვეთს", საზოგადოების ადმინისტრაციას.

2.3 „შემსრულებელს" უფლება აქვს ჩააბაროს დასრულებული სამუშაო, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაზე ადრე.

2.4 „შემსრულებელი" ვალდებულია ტექნიკური დოკუმენტაცია მოამზადოს ორ ეგზემპლარად და მომსახურების ვადის ბოლოს, ერთი ეგზემპლარი ჩააბაროს „დამკვეთს".

03.მომსახურების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი.

3.1 **მომსახურების ღირებულება განისაზღვრევბა**: 60(სამოცი) ლარის ოდენობით.

3.2„დამკვეთი" ავანსის სახით გადაუხდის „შემსრულებელს" მომსახურების ღირებულების ------- %-ს ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან _____ დღის ვადაში.

3.3მომსახურების ღირებულების დაფარვა „დამკვეთმა" უნდა მოახდინოს „შემსრულებელი"-ს მიერ სამუშაოს შესრულებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში.

4.მხარეთა პასსუხისმგებლობა.

4.1ნებისმიერ მხარეს შეუძლია წინასწარ გაგზავნილი წერილობითი შეტყობინებით შეაჩეროს ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ ასრულებს წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე პუნქტს.

4.2„დამკვეთის" მიერ ხელშეკრულების შეჩერების შემთხვევაში იგი ვალდებულია „შემსრულებელს" აუნაზღაუროს სახელშეკრულებო თანხა შესრულებული სამუშაოს მიხედვით და ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი.

4.3„დამკვეთის" მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევისათვის იგი „შემსრულებელს" პირგასამტეხლოს სახით გადაუხდის ვადაზეგადაუხდელი თანხის --------- %-ს ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის.

4.4„შემსრულებლის" მიერ ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში „შემსრულებელს" ეკისრება პასუხისმგებლობა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა და „დამკვეთთან" დადებული ხელშეკრულების ფარგლებში.

4.5„შემსრულებლის" ქონებრივი პასუხისმგებლობა არ შეიძლება აღემატებოდეს „დამკვეთისათვის" ფაქტობრივად მიყენებული ზარალის ოდენობას, რაც გათვასლისწინებულია საქართველოს კანონის „აუდიტორული საქმიანობის შესახებ" 24-ე მუხლით.

5. ფორს-მაჟორული გარემოებები

5.1შეუსრულებლობის შედეგად მიყენებული ზარალის ანაზრაურებისაგან, მხარეები თავისუფლდებიან თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობის შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებით. კერძოდ: ომით, ხანძრით, წყალდიდობით, მიწისძვრით ან სხვა სტიქიური უბედურებებით და თუ ამ გარემოებებმა უშუალოდ გაელენა მოახდინა ხელშეკრულების შესრულებაზე. ასეთ შემთხვევაში მოხდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების გადატანა ფორს – მაჟორული გარემოების შეწყვეტამდე. გარემოების ზემოქმედების შესახებ მხარეებმა ერთმანეთს უნდა აცნობონ მათი დადგომიდან 10 დღის განმავლობაში.

6.დავის გადაწყვეტა.

6.1მხარეებს შორის სადავო საკითხი წყდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

7.დამატებითი პირობები.

7.1ხელშეკრულება ძალაშია მხარეების მიერ მისი ხელმოწერის დღიდან.
7.2ხელშეკრულება შედგენილია ორ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად.

„შემსრულებელი“

შ.პ.ს. „ენგურ-აუდიტი“
ქ. ზუგდიდი, რუსათაველის ქ. № 93
საიდენტიფიკაციო № 220005562
„ლიბერთი ბანკის“- ს ზუგდიდის ფილიალი.
ბანკის კოდი: LBRTGE22

ა/ა № GE26LB0610006436080379

დირექტორი:

ზ.ბურულავა

დამკვეთი

სსიპ ქალაქ ზუგდიდის № 5
საჯარო
ზუგდიდი
ს/კ 219988315

დირექტორი

დ. ცქვიტაია